

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2009 წლის 14 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/122/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის წილობრივი განაწილების გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის კონტრაქტების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით.</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში</p> <p>№1. საქართველოს კანონის პროექტი „ტურიზმის შესახებ“                  №2. საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“</p> <p>შესაბამისობა:                  სშ - სრულად შესაბამისი                  ნშ - ნაწილობრივ შესაბამისი                  შ - შეუსაბამო                  ას - არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

1	<p>1. ამ დირექტივის მიზანია, ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მიაღწიოს მომხმარებლების მაღალ დონეზე დაცვას, დროის განაწილების და გრძელვადიანი დასვენების პროდუქტების, ასევე გაცვლის ხელშეკრულებების ბაზარზე გატანის, გაყიდვისა და გადაყიდვის ზოგიერთ ასპექტთან მიმართებით წევრი სახელმწიფოების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების დაახლოების გზით.</p> <p>2. ეს დირექტივა ეხება გარიგებებს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის.</p> <p>ეს დირექტივა არ ზღუდავს ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც:</p> <p>a. ითვალისწინებს სახელშეკრულებო სამართალში განსაზღვრულ სამართლებრივი დაცვის ზოგად საშუალებებს;</p> <p>b. უკავშირდება უძრავი ან მოძრავი ქონების რეგისტრაციასა და უძრავი ქონების გადაცემას;</p>	1	<p>37.1</p> <p>37.2 „ა“, „ბ“, „გ“, „დ“</p>	<p><b>მუხლი 37. ამ თავის არსი და მოქმედების სფერო</b></p> <p>1. ამ თავის მიზანია, ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მიაღწიოს მომხმარებლების მაღალ დონეზე დაცვას, თაიმშერისა და გრძელვადიანი დასვენების პროდუქტების, ასევე გაცვლის ხელშეკრულებების ბაზარზე გატანის, გაყიდვისა და გადაყიდვის ზოგიერთ ასპექტთან მიმართებით.</p> <p>2. ეს თავი ეხება გარიგებებს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის. ეს თავი არ ზღუდავს საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც :</p> <p>ა) ითვალისწინებს სახელშეკრულებო სამართალში განსაზღვრულ სამართლებრივი დაცვის ზოგად საშუალებებს;</p> <p>ბ) უკავშირდება უძრავი ან მოძრავი ქონების რეგისტრაციასა და უძრავი ქონების გადაცემას;</p> <p>გ) უკავშირდება დაფუძნების ან ავტორიზაციის რეჟიმების პირობებს ან ლიცენზირების მოთხოვნებს და</p> <p>დ) უკავშირდება იმ უფლებების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრას, რომლებიც ამ თავით რეგულირებული ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენდეს.</p>	სშ	
---	--	---	--	---	----	--

	<p>c. უკავშირდება დაარსების ან ავტორიზაციის რეჟიმების პირობებს ან ლიცენზირების მოთხოვნებს და</p> <p>d. უკავშირდება იმ უფლებების სამართლებრივი ხასიათის განსაზღვრას, რომლებიც ამ დირექტივით რეგულირებული ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენდეს.</p>					
--	---	--	--	--	--	--

2.1	<p>დირექტივის მიზნებისათვის გამოყენებულ დეფინიციებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ა) „დროის განაწილების ხელშეკრულება“ არის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთზე მეტი წლით და რომლის თანახმადაც მომხმარებელი, საფასურის გადახდის სანაცვლოდ, იღებს უფლებას, საცხოვრებელი გამოიყენოს ერთი ან მეტი ღამით ერთზე მეტ გამოყენების პერიოდში;</p>	1	38	<p><b>მუხლი 38. დროის განაწილების ხელშეკრულება</b></p> <p>დროის განაწილების ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთზე მეტი წლით და რომლის თანახმადაც მომხმარებელი, საფასურის გადახდის სანაცვლოდ, იღებს უფლებას, განთავსების საშუალება გამოიყენოს ერთი ან მეტი ღამით ერთზე მეტი სარგებლობის პერიოდით.</p>	სშ	
2.1	<p>ბ) „გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება“ არის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს და რომლის თანახმადაც მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ, უმთავრესად, იძენს ფასდაკლების ან სხვა შეღავათების მიღების უფლებას საცხოვრებელთან დაკავშირებით, ცალკე ან სამოგზაურო თუ სხვა მომსახურებებთან ერთად;</p>	1	39	<p><b>მუხლი 39. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება</b></p> <p>გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის ხანგრძლივობა აღემატება ერთ წელს და რომლის თანახმადაც მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ, იძენს ფასდაკლების ან სხვა შეღავათების მიღების უფლებას განთავსების საშუალებასთან დაკავშირებით, ცალკე ან ტურისტულ ან სხვა მომსახურებებთან ერთად.</p>	სშ	

2.1	გ) „გადაყიდვის ხელშეკრულება“ არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოვაჭრე საფასურის სანაცვლოდ ეხმარება მომხმარებელს დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტის ყიდვა-გაყიდვაში;	1	40	<p><b>მუხლი 40. გადაყიდვის ხელშეკრულება</b></p> <p>გადაყიდვის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოვაჭრე საფასურის სანაცვლოდ ეხმარება მომხმარებელს დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტის ყიდვა-გაყიდვაში.</p>	სშ	
2.1	დ) „გაცვლის ხელშეკრულება“ არის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ უერთდება გაცვლის სისტემას, რაც მას უფლებას აძლევს, ხელი მიუწვდებოდეს ღამის გასათევზე ან სხვა მომსახურებებზე, სამაგიეროდ ის სხვა პირებს გადასცემს დროებითი წვდომის უფლებას მომხმარებლის იმ დროის განაწილების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებებით მიღებულ შეღავათებზე;	1	41	<p><b>მუხლი 41. გაცვლის ხელშეკრულება</b></p> <p>გაცვლის ხელშეკრულება არის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ უერთდება გაცვლის სისტემას, რაც მას უფლებას აძლევს, ხელი მიუწვდებოდეს განთავსების საშუალებაზე ან სხვა მომსახურებებზე, სანაცვლოდ, იგი სხვა პირებს გადასცემს დროებითი წვდომის უფლებას მომხმარებლის ამავე დროის განაწილების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებებით მიღებულ შეღავათებზე.</p>	სშ	
2.1	ე) „მოვაჭრე“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედების მიზანი დაკავშირებულია მის კომერციულ	1	2.ო)	<p><b>ო) მოვაჭრე</b> - პირი, რომელიც ახორციელებს სამეწარმეო</p>	სშ	

	საქმიანობასთან, ბიზნესთან, ხელობასთან ან პროფესიასთან და ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან მოვაჭრის დავალებით;			საქმიანობას და ამ კანონის მოწესრიგებულ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც ტუროპერატორი, ტურაგენტი, კომბინირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი.		
2.1	ვ) „მომხმარებელი“ არის ფიზიკური პირი, რომლის მოქმედების მიზანი არ არის დაკავშირებული ამ პირის კომერციულ საქმიანობასთან, ბიზნესთან, ხელობასთან ან პროფესიასთან;	2	2.ი)	ი) <b>მომხმარებელი</b> – ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც სთავაზობენ ან რომელიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონელს ან მომსახურებას უპირატესად პირადი მოხმარების მიზნით და არა სავაჭრო, სამეწარმეო, სახელობო ან სხვა პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად;	სშ	
2.1	ზ) „დამხმარე ხელშეკრულება“ არის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომხმარებელი სარგებლობს მომსახურებებით, რომლებიც დაკავშირებულია დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებასთან და რომლებიც უზრუნველყოფილია მოვაჭრის ან მესამე მხარის მიერ, ამ მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე;	1	2.3 <sup>2</sup> )	3 <sup>2</sup> ) <b>დამხმარე ხელშეკრულება</b> - ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მომხმარებელი სარგებლობს მომსახურებებით, რომლებიც დაკავშირებულია დროის წილობრივი განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებასთან და რომლებიც უზრუნველყოფილია მოვაჭრის ან მესამე მხარის მიერ, ამ მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე;	სშ	

2.1	<p>თ) „ხანგამძლე მატარებელი“ არის ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც მომხმარებელს ან მოვაჭრეს საშუალებას აძლევს, პირადად მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეინახოს იმგვარად, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს მომავალში ინფორმაციის გამოყენების მიზნებისთვის ადეკვატური დროის განმავლობაში და რომელიც იძლევა შენახული ინფორმაციის უცვლელად კლავწარმოების საშუალებას;</p>	1	2. 3 <sup>1)</sup>	<p><b>3<sup>1)</sup> ხანგამძლე მატარებელი</b> - ნებისმიერი ინსტრუმენტი (მათ შორის ელექტრონული), რომელიც აძლევს ტურისტს/მომხმარებელს და მოვაჭრეს მისთვის პირადად მიწოდებული ინფორმაციის შენახვის საშუალებას, ამ ინფორმაციის გამოყენებისათვის საჭირო დროის განმავლობაში, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობა.</p>	სშ	
2.1	<p>ი) „ქცევის კოდექსი“ არის შეთანხმება ან წესების კრებული, რომელიც არ არის დაწესებული წევრი სახელმწიფოს კანონით, რეგულაციით ან ადმინისტრაციული დებულებით და რომელიც განსაზღვრავს მოვაჭრეთა ქცევას, რომელნიც იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ კოდექსის ნორმები ერთი ან ერთზე მეტი კონკრეტული კომერციული პრაქტიკის ან ბიზნეს სექტორის ფარგლებში;</p>	1	2. 3 <sup>3)</sup>	<p><b>3<sup>3)</sup> „ქცევის კოდექსი“</b> - ამ კანონის IX თავის მიზნებისთვის, არის შეთანხმება ან წესების კრებული, რომელიც არ არის დაწესებული წევრი სახელმწიფოს კანონით, რეგულაციით ან ადმინისტრაციული დებულებით და რომელიც განსაზღვრავს მოვაჭრეთა ქცევას, რომელნიც იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ კოდექსის ნორმები ერთი ან ერთზე მეტი კონკრეტული კომერციული პრაქტიკის ან ბიზნეს სექტორის ფარგლებში;</p>	სშ	

2.1	კ) „ქცევის კოდექსის ავტორი“ არის ნებისმიერი სუბიექტი, მოვაჭრის ან მოვაჭრეთა ჯგუფის ჩათვლით, რომელიც პასუხისმგებელია ქცევის კოდექსის შექმნასა და შესწორებაზე ან/და რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა, გააკონტროლოს იმ პირთა ქცევის კოდექსთან შესაბამისობა, რომელთაც ნაკისრი აქვთ მისი შესრულების ვალდებულება.				ას	ვერ იქნება კანონის ნაწილი, რადგან მიმართულია დირექტივის მიზნებისთვის
2.2	დროის განაწილების ხელშეკრულების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების ხანგრძლივობის გამოთვლისას, რაც შესაბამისად განსაზღვრულია (a) და (b) ქვეპუნქტებში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება, რომელიც იძლევა ვადის ავტომატური გაგრძელების ან გახანგრძლივების შესაძლებლობას.	1	44.9	<p><b>მუხლი 44. დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულების პირობები</b></p> <p>9. დროის წილობრივი განაწილების და გრძელვადიანი ხელშეკრულების ვადის გამოთვლისას, ხელშეკრულების ავტომატური განახლების ან გახანგრძლივების პირობა უნდა იქნეს გათვალისწინებული.</p>	სშ	

3.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ნებისმიერი რეკლამა იძლეოდეს მუხლის (4)1-ში მითითებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და მიუთითებდეს, თუ სად შეიძლება მისი მიღება.	1	43.1	<p><b>მუხლი 43. რეკლამის წესები</b></p> <p>1. ხელშეკრულების რეკლამა უნდა იძლეოდეს წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და ადგილს, სადაც შეიძლება მისი მიღება.</p>	სშ	
3.2	იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს პირადად სთავაზობენ დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებას სარეკლამო ღონისძიების ან ფასდაკლების აქციის ფარგლებში, მოვაჭრემ მოწვევაში გარკვევით უნდა მიუთითოს კომერციული მიზნისა და აქციის ხასიათის შესახებ.	1	43.2	<p>2. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს პირადად სთავაზობენ დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებას სარეკლამო ღონისძიების ან ფასდაკლების აქციის ფარგლებში, მოვაჭრემ გარკვევით უნდა მიუთითოს კომერციული მიზნისა და აქციის ხასიათის შესახებ.</p>	სშ	
3.3	3. მუხლის (4)1-ში მითითებული ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციის განმავლობაში ნებისმიერ დროს.	1	43.4	<p>4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციის განმავლობაში ნებისმიერ დროს.</p>	სშ	

3.4	დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტი ბაზარზე არ უნდა იქნეს გატანილი ან გაყიდული, როგორც ინვესტიცია.	1	43.3	3. დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტი არ შეიძლება იქნეს რეკლამირებული, როგორც ინვესტიცია.	სშ	
4.1	<p>1. მანამ, სანამ მომხმარებელი დადებს რაიმე ხელშეკრულებას ან მიიღებს შეთავაზებას, მოვაჭრემ მომხმარებელს გარკვევით და სრულყოფილად უნდა მიაწოდოს ზუსტი და სათანადო ინფორმაცია შემდეგნაირად:</p> <p>ა. დროის განაწილების ხელშეკრულების შემთხვევაში: დანართში I მოცემული სტანდარტული საინფორმაციო ფორმა და ამ ფორმაში შესატანი ინფორმაცია, რომელიც მითითებულია ნაწილში;</p> <p>ბ. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების შემთხვევაში: დანართში II მოცემული სტანდარტული საინფორმაციო ფორმა და ამ ფორმაში შესატანი ინფორმაცია, რომელიც მითითებულია ნაწილში;</p> <p>გ. გადაყიდვის ხელშეკრულების შემთხვევაში: დანართში III მოცემული სტანდარტული საინფორმაციო ფორმა და ამ ფორმაში შესატანი ინფორმაცია, რომელიც მითითებულია ნაწილში;</p>	1	42.1	<p><b>მუხლი 42. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია</b></p> <p>1. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებელს გარკვევით და სრულყოფილად უნდა მიაწოდოს ზუსტი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია მათ შორის ქცევის კოდექსის შესახებ, სტანდარტული ფორმების შესაბამისად, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით..</p>	სშ	

	დ. გაცვლის ხელშეკრულების შემთხვევაში: დანართში IV მოცემული სტანდარტული საინფორმაციო ფორმა და ამ ფორმაში შესატანი ინფორმაცია, რომელიც მითითებულია ნაწილში.					
4.2	2. პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მოვაჭრემ უნდა მიაწოდოს უფასოდ, ქაღალზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე, რომელიც მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომია.	1	42.2	2. პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია მოვაჭრემ უნდა მიაწოდოს უფასოდ, ქაღალზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე, რომელიც მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომია.	სშ	
4.3	3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია შედგენილი იქნეს იმ წევრი სახელმწიფოს ერთ ან ერთზე მეტ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც არის ის, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, თუ ეს ენა ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.	1	42.3	3. მოვაჭრეებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პუნქტში 1 მითითებული ინფორმაცია შედგენილი იქნეს იმ წევრი სახელმწიფოს ერთ ან ერთზე მეტ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც არის ის, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, თუ ეს ენა ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.	სშ	
5.1	1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ხელშეკრულება შედგეს წერილობითი ფორმით, ქაღალდის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე იმ წევრი სახელმწიფოს ერთ ან ერთზე მეტ ენაზე, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან	1	44.1	1. ხელშეკრულება უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, ქაღალდის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე იმ წევრი სახელმწიფოს ერთ ან ერთზე მეტ ენაზე, სადაც	სშ	ეს ნაწილი არის ნებაყოფლობითი და არ აისახა კანონპროექტში: “მიუხედავად ამისა, წევრ სახელმწიფოს,

<p>რომლის მოქალაქეც არის ის, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, თუ ეს ენა ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.</p> <p>მიუხედავად ამისა, წევრ სახელმწიფოს, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს, შეუძლია დამატებით მოითხოვოს, რომ:</p> <p>ა. თითოეულ შემთხვევაში მომხმარებელს ხელშეკრულება მიეწოდოს წევრი სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, თუ ის ევროკავშირის სახელმწიფო ენაა;</p> <p>ბ. დროის განაწილების ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც ერთ კონკრეტულ უძრავ ქონებას ეხება, მოვაჭრე მომხმარებელს მიაწვდის ხელშეკრულების დამოწმებულ თარგმანს იმ წევრი სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, სადაც აღნიშნული ქონებაა განთავსებული, თუ ეს ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.</p> <p>წევრმა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც მოვაჭრე ახორციელებს გაყიდვებს, შესაძლოა, მოითხოვოს, რომ თითოეულ შემთხვევაში მომხმარებელს ხელშეკრულება მიეწოდოს წევრი სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, თუ ის ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.</p>		<p>მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც არის ის, მომხმარებლის არჩევანის მიხედვით, თუ ეს ენა ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.</p>	<p>სადაც მომხმარებელი ცხოვრობს, <b>შეუძლია დამატებით მოითხოვოს</b>, რომ:</p> <p>ა. თითოეულ შემთხვევაში მომხმარებელს ხელშეკრულება მიეწოდოს წევრი სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, თუ ის ევროკავშირის სახელმწიფო ენაა;</p> <p>ბ. დროის განაწილების ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც ერთ კონკრეტულ უძრავ ქონებას ეხება, მოვაჭრე მომხმარებელს მიაწვდის ხელშეკრულების დამოწმებულ თარგმანს იმ წევრი სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, სადაც აღნიშნული ქონებაა განთავსებული, თუ ეს ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.</p> <p>წევრმა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც მოვაჭრე ახორციელებს გაყიდვებს, <b>შესაძლოა</b>,</p>
---	--	--	---

						მოითხოვოს, რომ თითოეულ შემთხვევაში მომხმარებელს ხელშეკრულება მიეწოდოს წვერი სახელმწიფოს ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, თუ ის ევროკავშირის სახელმწიფო ენაა.
5.2	<p>2. მუხლში (4)1 მითითებული ინფორმაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და არ უნდა შეიცვალოს, თუ მხარეები აშკარად სხვაგვარად არ შეთანხმდებიან ან, თუ ცვლილებები გამოწვეულია უჩვეულო და გაუთვალისწინებელი გარემოებებით, რომლებიც მოვაჭრის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა სათანადო სიფრთხილის გამოჩენის შემთხვევაშიც.</p> <p>აღნიშნული ცვლილებების შესახებ მომხმარებელს უნდა ეუწყოს ქალაქის ფურცელზე ან მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომ სხვა ხანგამძლე მატარებელზე ხელშეკრულების დადებამდე.</p>	1	<p>44.2</p> <p>44.3</p>	<p>2. ამ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით ან, თუ ცვლილებები გამოწვეულია გაუთვალისწინებელი გარემოებებით, რომლებიც მოვაჭრის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია. ხელშეკრულება გარკვევით უნდა მიუთითებდეს ამგვარი ცვლილებების შესახებ.</p> <p>3. აღნიშნული ცვლილებების შესახებ მომხმარებელს უნდა ეცნობოს წერილობით ხელშეკრულების დადებამდე.</p>	სშ	

	ხელშეკრულება გარკვევით უნდა მიუთითებდეს ამგვარი ცვლილებების შესახებ.				
5.3	<p>3. მუხლში 4(1) გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს:</p> <p>ა) თითოეული მხარის ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს და ხელმოწერას და</p> <p>ბ) ხელშეკრულების დადების თარიღსა და ადგილს.</p>	1	44.4	<p>ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს:</p> <p>ა) მხარეთა ვინაობას, საცხოვრებელ ადგილს, ხელმოწერას და</p> <p>ბ) ხელშეკრულების დადების თარიღსა და ადგილს.</p>	სშ
5.4	<p>4. ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებლის ყურადღება უნდა გაამახვილოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობაზე, მუხლში 6 მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ხანგრძლივობასა და მუხლში 9 მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის გასვლამდე წინასწარი გადახდის აკრძალვაზე.</p> <p>ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს მომხმარებელმა ხელი უნდა მოაწეროს ცალ-ცალკე.</p> <p>ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებიდან გასვლის ცალკე</p>	1	44.5-7	<p>5. ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა აცნობოს მისი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების შესახებ, 45-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ხანგრძლივობასა და 48-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის გასვლამდე წინასწარი გადახდის აკრძალვაზე.</p> <p>6. ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს მომხმარებელმა ხელი უნდა მოაწეროს ცალ-ცალკე.</p>	სშ

	სტანდარტულ ფორმას, რომელიც მოცემულია დანართში V და ემსახურება მე-6 მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების გამარტივებას.			7. ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს ხელშეკრულებიდან გასვლის ცალკე სტანდარტულ ფორმას, რომელიც განისაზღვრება 42-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ემსახურება 45-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების გამარტივებას. ცალკე სტანდარტული ფორმა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.		
5.5	5. მომხმარებელს გადაეცემა ხელშეკრულების ასლი ან ასლები მისი გაფორმებისას.	1	44.8	8. მომხმარებელს ხელშეკრულების გაფორმებისას გადაეცემა სათანადოდ დამოწმებული (ხელმოწერილი) ხელშეკრულების 1 ეგზემპლარი.	სშ	
6.1	1. ამ დირექტივის დებულებების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან ერთად წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებელს მიეცეს 14 კალენდარული დღე, რათა გავიდეს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან	1	45.1	<b>მუხლი 45. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება</b>  1. მომხმარებელს აქვს უფლებს გავიდეს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან 14	სშ	

	გაცვლის ხელშეკრულებიდან რაიმე მიზეზის დასახელების გარეშე.			კალენდარული დღეში ყოველგვარი მიზეზის დასახელების გარეშე.		
6.2	<p>2. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა უნდა გამოითვალოს:</p> <p>ა) ხელშეკრულების ან ნებისმიერი წინასწარი სავალდებულო ხელშეკრულების დადების დღიდან; ან</p> <p>ბ) იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი მიიღებს ხელშეკრულებას ან ნებისმიერ წინასწარ სავალდებულო ხელშეკრულებას, თუ ეს ხდება (ა) ქვეპუნქტში გათვალისწინებულ თარიღზე გვიან.</p>	1	45.2	<p>2. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა გამოითვლება:</p> <p>ა) ხელშეკრულების დადების დღიდან; ან</p> <p>ბ) იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი მიიღებს ხელშეკრულებას, თუ ეს დღე დგება ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ თარიღზე გვიან.</p>	სშ	
6.3	<p>3. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა იწურება:</p> <p>ა) ამ მუხლის პუნქტში 2 მითითებული დღიდან ერთი წლისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, როდესაც მოვაჭრეს შევსებული არ აქვს და მომხმარებლისთვის წერილობით, ქაღალდის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებლით გადაცემული არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ცალკე ფორმა მე-5 მუხლის 5(4) მოთხოვნის შესაბამისად;</p> <p>ბ) ამ მუხლის პუნქტში 2 მითითებული დღიდან სამი თვისა და 14 კალენდარული</p>	1	45.3	<p>3. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა იწურება:</p> <p>ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან ერთი წლისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, როდესაც მოვაჭრეს შევსებული არ აქვს და მომხმარებლისთვის წერილობით გადაცემული არ აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა 44-ე მუხლის 5-7 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად;</p>	სშ	

	<p>დღის შემდეგ, თუ მუხლში 4(1) მითითებული ინფორმაცია, მათ შორის, დანართებში I-IV მოცემული სტანდარტული საინფორმაციო ფორმა მომხმარებლისთვის მიწოდებული არ არის წერილობითი ფორმით, ქალაქის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებლის გამოყენებით.</p> <p>ამასთან, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი სანქციები მე-15 მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვის დროისთვის, მოვაჭრეს არ აქვს დაკმაყოფილებული ამ დირექტივაში განსაზღვრული საინფორმაციო მოთხოვნები.</p>			<p>ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან სამი თვისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, თუ 42-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია, სტანდარტული საინფორმაციო ფორმით მომხმარებლისთვის მიწოდებული არ არის წერილობით.</p>		
6.4	<p>4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ცალკე ფორმა, რომელიც მოთხოვნილია მუხლში 5(4), მოვაჭრემ შეავსო ქალაქის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებლის გამოყენებით და გადასცა მომხმარებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაიწყება მომხმარებლის მიერ აღნიშნული ფორმის მიღების დღიდან.</p> <p>ანალოგიურად, თუ ინფორმაცია, რომელზეც მითითებულია მუხლში 4(1), მათ შორის, დანართებში I-IV მოცემული სტანდარტული საინფორმაციო ფორმა,</p>	1	45.4	<p>4. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელიც მოთხოვნილია 42-ე მუხლით, მოვაჭრემ შეავსო ქალაქის ფურცელზე ან სხვა ხანგრძლივი მატარებლის გამოყენებით და გადასცა მომხმარებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა 4. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელიც მოთხოვნილია 42-ე მუხლით,</p>	სშ	

	<p>მომხმარებელს გადაეცა ქალაქის ფურცლის ან სხვა ხანგამძლე მატარებლის გამოყენებით ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან სამი თვის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაიწყება მომხმარებლის მიერ ამგვარი ინფორმაციის მიღების დღიდან.</p>			<p>მოვაჭრემ შეავსო ქალაქის ფურცელზე ან სხვა ხანგრძლივი მატარებლის გამოყენებით და გადასცა მომხმარებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაიწყება მომხმარებლის მიერ აღნიშნული ფორმის მიღების დღიდან.</p> <p>5. თუ ინფორმაცია, რომელზეც მითითებულია 42-ე მუხლში, მათ შორის, სტანდარტული საინფორმაციო ფორმა, მომხმარებელს გადაეცა ქალაქის ფურცლის ან სხვა ხანგამძლე მატარებლის გამოყენებით ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დღიდან სამი თვის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა დაიწყება მომხმარებლის მიერ ამგვარი ინფორმაციის მიღების დღიდან.</p>		
6.5	<p>5. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლის და დროის განაწილების ხელშეკრულებას მომხმარებელს სთავაზობენ ერთდროულად, ორივე ხელშეკრულებასთან გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის მხოლოდ ერთი ვადა პუნქტის 1 შესაბამისად. ორივე</p>	1	45.6	<p>6. იმ შემთხვევაში, თუ გაცვლის და დროის განაწილების ხელშეკრულებას მომხმარებელს სთავაზობენ ერთდროულად, ორივე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის მხოლოდ ერთი ვადა ამ</p>	სშ	

	ხელშეკრულებისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა უნდა გამოითვალოს მე-2 პუნქტის დებულებების მიხედვით, ვინაიდან ისინი ეხება დროის განაწილების ხელშეკრულებას.			მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ორივე ხელშეკრულებისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა უნდა გამოითვალოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მიხედვით.		
7	იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი განიზრახავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, მან ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე მოვაჭრეს უნდა აუწყოს ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილების შესახებ, რასაც წარადგენს ქალაქში ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე შედგენილი შეტყობინების სახით. მომხმარებელს შეუძლია, გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელიც მოცემულია დანართში V, რომელსაც უზრუნველყოფს მოვაჭრე მუხლის 5(4) შესაბამისად. ბოლო ვადა დაცულია იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება გაიგზავნება ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე.	1	45.7	7. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი განიზრახავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, მან ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე მოვაჭრეს უნდა აცნობოს წერილობით ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილების შესახებ. მომხმარებელს შეუძლია, გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელსაც უზრუნველყოფს მოვაჭრე 42-ე მუხლის შესაბამისად. ბოლო ვადა დაცულია იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება გაიგზავნება ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე.	სშ	
8.1.	1. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებით წყდება	1	46.1	<b>მუხლი 46. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები</b>	სშ	

	მხარეების ვალდებულება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.			1. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებით წყდება მხარეების ვალდებულება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.		
8.2.	2. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს რაიმე ხარჯი, არც რაიმე გადასახადი იმ მომსახურებისთვის, რომელიც შესაძლოა გაწეული ყოფილიყო ხელშეკრულებიდან გასვლამდე.	1	46.2	2. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს რაიმე სახის ხარჯი, გადასახადი იმ მომსახურებისთვის, რომელიც შესაძლოა გაწეული ყოფილიყო ხელშეკრულებიდან გასვლამდე.	სშ	
9.1.	1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-6 მუხლის შესაბამისად აიკრძალოს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენებისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, ფულის ანგარიშებზე დარეზერვება, ვალის არსებობის ღიად აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობა მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის დასრულებამდე.	1	47.1	<b>მუხლი 47. წინასწარი გადახდის აკრძალვა</b>  1. იკრძალება დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენებისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, თანხის ანგარიშზე განთავსება, ვალის აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობა მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის	სშ	

				სასარგებლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის დასრულებამდე.		
9.2.	2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აიკრძალოს გადაყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, ფულის ანგარიშებზე დარეზერვება, ვალის არსებობის ღიად აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობა მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ რეალური გაყიდვის განხორციელებამდე ან გადაყიდვის ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტამდე.	1	47.2	2. იკრძალება გადაყიდვის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, თანხის ანგარიშზე განთავსება, ვალის აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობა მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ რეალური გაყიდვის დაწყებამდე ან გადაყიდვის ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტამდე.	სშ	
10.1	1. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებების შემთხვევაში, გადახდა სრულდება ეტაპობრივი გადახდის გრაფიკის მიხედვით. აკრძალულია ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურის ნებისმიერი სახით გადახდა, რომელიც განსხვავდება ეტაპობრივი გადახდის გრაფიკისგან. გადახდები, საწევრო შენატანის ჩათვლით, უნდა დაიყოს ყოველწლიურ, თანაბარ შენატანებად. მოვაჭრემ უნდა გაგზავნოს წერილობითი მოთხოვნა გადახდასთან დაკავშირებით გადახდის ყოველ თარიღამდე მინიმუმ 14	1	48.1	<b>მუხლი 48. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები</b>  1. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებების შემთხვევაში, გადახდა სრულდება გადახდის გრაფიკის მიხედვით. აკრძალულია ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფასურის ნებისმიერი სახით გადახდა, რომელიც განსხვავდება გადახდის გრაფიკისგან. გადახდები,	სშ	

	კალენდარული დღით ადრე. მოთხოვნა უნდა შესრულდეს ქალაქის ფურცელზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე.			საწევრო შენატანის ჩათვლით, უნდა დაიყოს ყოველწლიურ, თანაბარ შენატანებად. მოვაჭრემ უნდა გაგზავნოს წერილობითი მოთხოვნა გადახდასთან დაკავშირებით გადახდის ყოველ თარიღამდე მინიმუმ 14 კალენდარული დღით ადრე. მოთხოვნა უნდა შესრულდეს წერილობით.		
10.2	მეორე მიმდინარე შენატანის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება დაჯარიმების გარეშე, რისთვისაც მან ყოველი შენატანის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მოვაჭრეს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება. აღნიშნული უფლება გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია არსებულ ეროვნულ კანონმდებლობაში.	1	48.2.	2. მეორე მიმდინარე შენატანის შემდეგ მომხმარებელს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება დაჯარიმების გარეშე, რისთვისაც მან ყოველი შენატანის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მოვაჭრეს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება. აღნიშნული უფლება გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია არსებულ ეროვნულ კანონმდებლობაში.	სშ	

11.1	<p>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, როდესაც მომხმარებელი იყენებს დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ნებისმიერი გაცვლის დამატებითი ხელშეკრულება ან სხვა რაიმე დამატებითი ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდეს ისე, რომ მომხმარებელს არ დაეკისროს რაიმე ხარჯი.</p>	1	49.1	<p><b>მუხლი 49. დამხმარე ხელშეკრულების შეწყვეტა</b></p> <p>1. თუ, მომხმარებელი იყენებს დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ნებისმიერი სხვა დამხმარე ხელშეკრულება ავტომატურად უნდა შეწყდეს ისე, რომ მომხმარებელს არ დაეკისროს რაიმე სახის ხარჯი.</p>	სშ	
11.2	<p>2. მომხმარებლებთან საკრედიტო შეთანხმებების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48/EC დირექტივის მე-15 მუხლის შეუზღუდავად[10], როდესაც საფასური სრულად ან ნაწილობრივ გადაიხადა მოვაჭრემ ან მესამე მხარემ, მომხმარებლისთვის მიცემული კრედიტის მეშვეობით მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის შეთანხმების საფუძველზე, საკრედიტო შეთანხმება უნდა შეწყდეს მომხმარებლისთვის რაიმე ხარჯის დაკისრების გარეშე, თუ მომხმარებელი გამოიყენებს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.</p>	1	49.2	<p>2. თუ, მოვაჭრემ გადაიხადა საფასური სრულად ან ნაწილობრივ ან მესამე მხარემ, მომხმარებლისთვის მიცემული კრედიტის მეშვეობით, მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის შეთანხმების საფუძველზე, საკრედიტო შეთანხმება უნდა შეწყდეს მომხმარებლისთვის ნებისმიერი სახის ხარჯის დაკისრების გარეშე, თუ მომხმარებელი გამოიყენებს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.</p>	სშ	

11.3	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ დეტალური წესები ამგვარი ხელშეკრულებების შეწყვეტის შესახებ.	1	49.2	2. თუ, მოვაჭრემ გადაიხადა საფასური სრულად ან ნაწილობრივ ან მესამე მხარემ, მომხმარებლისთვის მიცემული კრედიტის მეშვეობით, მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის შეთანხმების საფუძველზე, საკრედიტო შეთანხმება უნდა შეწყდეს მომხმარებლისთვის ნებისმიერი სახის ხარჯის დაკისრების გარეშე, თუ მომხმარებელი გამოიყენებს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.	სშ	
12.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ, როდესაც ხელშეკრულების მიმართ გამოყენებული კანონი არის წევრი სახელმწიფოს კანონი, მომხმარებლებს არ ჰქონდეთ უფლება, უარი თქვან მათთვის ამ დირექტივით გადაცემულ უფლებებზე.	1	37.3	3. ტურისტს არ ააქვს უფლება თქვას უარი ამ თავით მინიჭებულ უფლებებზე.	სშ	
12.2	თუ გამოყენებული კანონი მესამე ქვეყანას ეკუთვნის, მომხმარებლებს არ წაერთმევათ ამ დირექტივით გათვალისწინებული დაცვის უფლება, რომელიც ხორციელდება ფორუმის წევრ სახელმწიფოში:				ას	ეს არის დაკავშირებული ევროკავშირის კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მოგვარებასთან

	<p>თუ ნებისმიერი შესაბამისი უძრავი ქონება მდებარეობს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება უშუალოდ არაა დაკავშირებული უძრავ ქონებასთან, მოვაჭრე ახორციელებს კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას წევრ სახელმწიფოში ან, ნებისმიერი საშუალებით, მიმართავს ამგვარ საქმიანობას წევრ სახელმწიფოში, ხოლო ხელშეკრულება დაკავშირებულია ამგვარი საქმიანობის სფეროსთან.</p>					
13.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, არსებობდეს ადეკვატური და ეფექტური საშუალებები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოვაჭრეთა მხრიდან ამ დირექტივასთან შესაბამისობა.</p>	1	52.13	<p><b>მუხლი 52. პასუხისმგებლობა ტურიზმის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის</b></p> <p>13. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.</p>	სშ	
13.2	<p>პირველ პუნქტში მითითებული საშუალებები მოიცავს დებულებებს, რომელთა მიხედვით ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული ერთი ან მეტი შემდეგ ორგანოთაგან უფლებამოსილია, საქმე აღძრას სასამართლოში ან კომპეტენტურ</p>	2	35	<p><b>მუხლი 35. სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება</b></p> <p>სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს</p>	სშ	

	<p>ადმინისტრაციულ ორგანოებში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ამ დირექტივის განსახორციელებლად ეროვნული დებულებების გამოყენების უზრუნველსაყოფად:</p> <p>ა) საჯარო ორგანოები ან ორგანიზაციები ან მათი წარმომადგენლები;</p> <p>ბ) მომხმარებელთა ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ მომხმარებლების დაცვის კანონიერი ინტერესი;</p> <p>გ) პროფესიული კავშირები, რომელთაც აქვთ საქმის აღძვრის კანონიერი ინტერესი.</p>			<p>კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს ამ კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.</p>		
14.1	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებლებს იმ ეროვნული კანონმდებლობის შესახებ, რომელშიც გადმოტანილია ეს დირექტივა და, საჭიროების შემთხვევაში, ხელი უნდა შეუწყონ მოვაჭრეებსა და ქცევის კოდექსის ავტორებს, რათა მათ საკუთარი ქცევის კოდექსების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებელს.</p> <p>კომისიამ ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირის დონეზე ქცევის კოდექსის შექმნას ევროგაერთიანების კანონმდებლობის შესაბამისად, განსაკუთრებით კი, პროფესიული</p>				ას	ეს ზოგადი მითითებაა სახელმწიფოების მიმართ და არაა ასასახი კანონმდებლობაში

	კავშირების, ორგანიზაციებისა და ასოციაციების მიერ, იმ მიზნით, რომ გამარტივდეს ამ დირექტივის განხორციელება. ეს ასევე დაეხმარება მოვაჭრეებსა და მათ ფილიალებს მომხმარებლებისთვის ნებისმიერი ამგვარი კოდექსის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური ნიშანდების მეშვეობით.				
14.2	წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სასამართლოს გარეთ საჩივრების განხილვისა და ზარალის ანაზღაურების ადეკვატური და ეფექტური პროცედურების შექმნას ამ დირექტივის შესაბამისად, მომხმარებელთა დავების გადასაწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა წახალისონ მოვაჭრეები და მათი ფილიალები, რათა მათ ინფორმაცია მიაწოდონ მომხმარებლებს ამგვარი პროცედურების ხელმისაწვდომობის შესახებ.	2	35	<b>მუხლი 35. სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება</b>  სააგენტოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. დარღვევის დადგენის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრება სააგენტოს არ ართმევს უფლებას, განახორციელოს ამ კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება და მოვაჭრეს დააკისროს შესაბამისი ჯარიმა.	სშ

<p>15.1</p> <p>15.2</p>	<p>1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ შესაბამისი სანქციები იმ შემთხვევაში, თუ მოვაჭრე არ შეასრულებს ამ დირექტივის შესაბამისად მიღებულ ეროვნულ დებულებებს.</p> <p>2. აღნიშნული სანქციები უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და შემაკავებელი.</p>	<p>1</p>	<p>52.13</p>	<p><b>მუხლი 52. პასუხისმგებლობა ტურიზმის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის</b></p> <p>13. „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა მოთხოვნათა დარღვევა - გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.</p>	<p>სშ</p>	
<p>16.1</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა ამ დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები უნდა მიიღონ და გამოაქვეყნონ 2011 წლის 23 თებერვლამდე. მათ დაუყოვნებლივ უნდა გააცნონ ევროკომისიას აღნიშნული დებულებების ტექსტები.</p> <p>მათ აღნიშნული დებულებები უნდა გამოიყენონ 2011 წლის 23 თებერვლიდან.</p> <p>აღნიშნული დებულებების მიღებისას წევრმა სახელმწიფოებმა მათში უნდა მიუთითონ ეს დირექტივა, ან ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში მათ უნდა ახლდეს ასეთი მითითება. ამგვარი მითითების ფორმას განსაზღვრავენ წევრი სახელმწიფოები.</p>				<p>ას</p>	<p>ეს ამ დირექტივის გარდამავალი დებულებაა და არ ააქ კავშირი ქვეყნების კანონმდებლობაში ასახვასთან</p>

16.2	წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გააცნონ ეროვნული კანონმდებლობის იმ ძირითად დებულებათა ტექსტი, რომელსაც ისინი მიიღებენ ამ დირექტივით რეგულირებულ სფეროში.			ას	ეს ამ დირექტივის გარდამავალი დებულებაა და არ ააქ კავშირი ქვეყნების კანონმდებლობაში ასახვასთან
17	კომისიამ უნდა გადახედოს ამ დირექტივას და ანგარიში წარუდგინოს ევროპარლამენტსა და საბჭოს არაუგვიანეს 2014 წლის 23 თებერვლისა.  საჭიროების შემთხვევაში, მან უნდა წარმოადგინოს დამატებითი წინადადებები სფეროში არსებულ სიახლეებთან მის მისასადაგებლად.  კომისიამ შესაძლოა ინფორმაცია მოითხოვოს წევრი სახელმწიფოებისა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისგან.			ას	ეს ამ დირექტივის გარდამავალი დებულებაა და არ ააქ კავშირი ქვეყნების კანონმდებლობაში ასახვასთან
